

ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობის რაოდენობრივი შეფასება
ქინკლაძე რუსუდანი – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
ყურაშვილი გუგული – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

Methods Assessment of the Territorial Recreational Inequality of the Region

Kinkladze Rusudani – Associate Professor, Department of Business Administration, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Kurashvili Guguli – Associate Professor, Department of Business Administration, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: Important stage in scientific justification of effective state policy in the sphere of a recreation and tourism is the analysis of territorial recreational inequality. In modern scientific and methodical literature unfairly small attention is paid as problems of functioning of a tourist and recreational complex in the field of sanatorium and tourist economy of the region, and to disclosure of geographical specifics of formation of the territorial recreational inequality (TRI). This perspective acquires special relevance in connection with a situation when are noticeable essential unevenness between recreational regions by the volume and quality of resource potential, intensity of maintaining recreational economy, by degree of recreational familiarity, etc. Current situation causes urgent need of measurement of depth and factors, possible consequences of the developed regional problem for the subsequent justification of reforms in functional and territorial structures of the tourist and recreational sphere of the region. Territorial recreational inequality is a regional kind of the general territorial inequality the complicated branch specifics. At the moment, there is no developed system of full diagnostics of territorial recreational inequality.

Research methodology: The analysis of the most widespread traditional measures of inequality such as Lorentz curve, the Gini coefficient, the Theil index, the variation coefficient is conducted.

Results and implications: Estimation to possibility of using the specified measuring devices at the study of territorial recreational inequality is given.

Conclusion: It is possible to use Lorenz curve, Gini coefficient, Reil and Atkinson indices and variation coefficient as quantitative measures to study the territorial recreation disparity.

Keywords: territorial recreational inequality, Lorentz curve, Gini coefficient, Theil index, Atkinson index, variation coefficient.

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: რეკრეაციული და ტურისტული საქმიანობის სფეროში ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის მეცნიერული დასაბუთების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობის ანალიზი. თანამედროვე სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში არც ისე დიდი ყურადღებაა დათმობილი რეგიონის სანატორიულ-საკურორტო და ტურისტულ საქმიანობაში როგორც ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის ფუნქციონირების, ისე ტერიტორიულ რეკრეაციული უთანაბრობის ფორმირების გეოგრაფიული სფეციფიკის შემეცნების პრობლემისადმი. მოცემული პრობლემტიკა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, როცა შეინიშნება არსებითი უთანაბრობა რეკრეაციულ რეგიონებს შორის რესურსების პოტენციალის მოცულობისა და ხარისხის, რეკრეაციული საქმიანობის ინტენსიურად განხორციელების, რეკრეაციული რესურსის ათვისების ხარისხის და სხვ. მიხედვით. შექმნილი სიტუაცია მოითხოვს რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული სფეროს ფუნქციონალურ და ტერიტორიულ სტრუქტურაში შექმნილი რეგიონული

პრობლემის სიღრმისა და ფაქტორების შეფასების აუცილებლობას მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელი რეფორმების დასაბუთებისათვის. ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობა წარმოადგენს დარგობრივი სფეროში განპირობებული საერთო ტერიტორიული უთანაბრობის რეგიონულ სახესხვაობას. მოცემულ მომენტში, არ არსებობს ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობის დიაგნოსტიკის სრულყოფილი და მწყობრი სისტემა. შესაბამისად, აუცილებელია მოცემული პრობლემის შესწავლისათვის უთანაბრობის კლასიკური საზომი მაჩვენებლების გამოყენების უცილებლობის ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია: წარმოდგენილ სტატიაში განხილულია უთანაბრობის ანალიზისათვის მეტნაკლებად გავრცელებული ტარდიციული მაჩვენებლები, როგორცაა ლორენცოს მრუდი, ჯინის კოეფიციენტი, რეილისა და ატკინსონის ინდექსები და ვარიაციის კოეფიციენტი.

შედეგები და გამოყენება: დასაბუთებულია ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობის შესწავლისთვის მათი, როგორც რაოდენობრივი შეფასების საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა.

დასკვნა: ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობის შესწავლისათვის ლორენცოს მრუდის, ჯინის კოეფიციენტის, რეილისა და ატკინსონის ინდექსებისა და ვარიაციის კოეფიციენტის, როგორც რაოდენობრივი შეფასების საშუალებების გამოყენება შესაძლებელია.

საკვანძო სიტყვები: ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობა, ლორენცოს მრუდი, ჯინის კოეფიციენტი, ტეილის ინდექსი, ატკინსონის ინდექსი, ვარიაციის კოეფიციენტი.

შესავალი

ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობა არის ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალ-ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, სოციოკულტურული, ეკოლოგიური და სხვა პირობებითა და ფაქტორებით გამოწვეული სოციალური უთანაბრობის სხვადასხვა სახეობა სივრცეში, რომელიც თავს იჩენს რეგიონებს შორის განსხვავებაში ფუნქციონალური და ტერიტორიული ორგანიზაციის, რეკრეაციული საქმიანობის ინტენსივობისა და ეფექტიანობის სხვადასხვა ფორმაში და ექვემდებარება რეგულირებას.

დეფინიცია „ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობა“ აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს შემდეგი სახის პრინციპული მოსაზრებებისაგან:

1. ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობის წარმოშობისა და განვითარების პოლიგენეტიკური ხასიათი განისაზღვრება მრავალი ფაქტორის: ბუნებრივი, ისტორიული, სოციოკულტურული, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციული, გეოეკოლოგიური კომპლექსური ზემოქმედებით. ისინი ერთობლიობაში იწვევს ტერიტორიის რეკრეაციული პოტენციალის მოცულობაში, სტრუქტურასა და ხარისხში ფუნქციონალურად სხვადასხვა და კონკურენტული რეგიონული ტურისტული პროდუქტის შექმნის შესაძლებლობაში მოცულობითი, საიმედო და ხარისხიანი ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განსხვავების ფორმირებას. ასევე რეგიონის მოსახლეობის მიერ ამა თუ იმ ტურისტულ-რეკრეაციულ მომსახურების შესყიდვის ეკონომიკურ შესაძლებლობებში განსხვავებას.
2. ტერიტორიული სამართლიანობა, მ.შ. უნივერსალურობა, იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის მოსახლეობის რეკრეაციული მომსახურებით უზრუნველყოფის დონე განი-

საზღვრება დაბალი სოციალური ჯგუფის მიხედვით. ეს კი თავის მხრივ, გულისხმობს ჩამორჩენილ რაიონებში რეკრეაციიდან და ტურიზმიდან ეკონომიკაში მნიშვნელოვანი წვლილის შემომტანი რაიონებიდან რეკრეაციულ ინტენსიფიკაციას, და ამავე დროს, საბიუჯეტო შემოსულობათა ნაწილის გადანაწილების მიხედვით სახელმწიფოს გარკვეულ ქმედებას.

3. ტურისტულ-რეკრეაციული უთანაბრობა წარმოადგენს საერთო სოციალური უთანაბრობის ფორმას, რომელიც რეკრეაციულ-გეოგრაფიული განლაგების პროცესში წარმოიშობა. განვითარებულ ქვეყნებში ტერიტორიის რეკრეაციული დონეში განსხვავება ხშირად განისაზღვრება ქვეყნის საუკეთესო რეკრეაციული რესურსების მქონე ნაწილის მონოკულტურული საექსპორტო ორიენტაციით და ახალი ტურისტული მიღწევების და მათი უზრუნველყოფისათვის საშუალებების შესაქმნელად ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობით. აქტუალურია ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობის პროცესის განვითარებაში სივცობრივ-დროითი ტენდენციის შესწავლა „მდგადი ლიდერები“ და „ქონიკული აუტსაიდერები“ რაიონების გამოყოფასთან ერთად და მათ შორის მსგავსების ან გასხვავებების ტემპების დინამიკა. კვლევის მოცემული სახეობა, უსათუოდ, უნდა ეფუძნებოდეს მრავალწლიანი მონიტორინგის შედეგებს, ანალიზსა და პროგნოზების აგებას.
4. ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობის კვლევის გეოგრაფიულ ოპერაციულ ერთეულებს წარმოადგენს სხვადასხვა იერარქიული დონის მქონე რეკრეაციული რაიონები. ისინი წარმოადგენენ რეკრეაციული ობიექტების ტერიტორიული დიფერენციაციის სინთეტიკურ ფორმას, მოვლენასა და პროცესს, სწორედ, რეკრეაციული ტერიტორიების სტრუქტურის მსგავსებისა და განსხვავების ხარისხის, ურთიერთკავშირის ხასიათის, პროცესების დინამიკის მიმართულების მიხედვით დაყოფის (გაერთიანების) შედეგს. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა შესწავლილი რეკრეაციული დარაიონების პროცესის ფაქტორები და საქმიანობის მექანიზმები, კრიტერიუმები [8], ტექნოლიგიებისა და იერარქიების საკითხები. ამასთან, თანამედროვე ეტაპზე რაიონული პარადიგმა ასახავს დარაიონების ობიექტურ პროცესს მხოლოდ ტერიტორიული ორგანიზაციის ბუნებრივ-რესურსული (შეფასებითი) და სოციალ-ეკონომიკური (სამეურნეო) დონეზე, პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობის. მათი შედეგების (ტერიტორიის რეკრეაციული საქმიანობის მდგომარეობის) გათვალისწინების გარეშე, ტერიტორიის საზოგადოებრივ-რეკრეაციული ორგანიზებაში ფორმირებულ რეგიონული დისპროპორციას.
5. ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობა ექვემდებარება რეგულირებას. ნათელია, რომ რეკრეაციულ რაიონებს არ შეუძლიათ და არც უნდა იყვნენ აბსოლუტურად „მათემატიკურად ტოლი“ ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის შედეგებით, მაგრამ აუცილებლად უნდა აკვირდებოდნენ მათ ტერიტორიულ და ფუნქციონალურ სტრუქტურაში მიმდინარე გარკვეულ პროცესებს. ასე მაგ., თუ შეიმჩნევა „გადახრები“ რეკრე-

აციული საქმიანობის ამა თუ იმ სახეობაში, მიზანშეწონილია მოთხოვნის ნაწილის გადანაწილება, ალტერნატიული რესურსების შექმნა, რეკრეაციული ინოვაციების სხვადასხვა ტიპების გამოყენება და ა.შ. რეგულატორის ფუნქციამ თავის თავზე უნდა აიღოს რეგიონის ყველა იერარქიულ დონეზე ოგანიზაციული სტრუქტურების მართვა. მეცნიერულ ბაზაზე დაყრდნობით კონსტრუქციული მმართველობითი გადაწყვეტილების მომზადება რეგიონული რეკრეაციული პოლიტიკის ჩარჩოებში უზრუნველყოფს რეგიონს კვლევითი სტრუქტურებით (უნივერსიტეტები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, ტურიზმის სამეცნიერო ცენტრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვ.). გადაწყვეტილება უნდა ექვემდებარებოდეს რეკრეაციისა და ტურიზმის მდგრადი (დაბალანსებული) განვითარების საერთოსახელმწიფოებრივ სტატეგიას.

ტერიტორიული უთანაბრობის შესწავლის პირველი მეთოდიკა შემუშავებულ იქნა მე-20 საუკუნის დასაწყისში და უპირატესად ეხებოდა შემოსავლების შემადგენლობის უთანაბრობას. პირველ ნაშრომებს წარმოადგენდა ამერიკელი ეკონომიკისა და სოციოლოგის მ.ო. ლორენცის „შემოსავლების კონცენტრაციის გაზომვის მეთოდები“ (1905 წ.) და იტალიელი ეკონომისტის, სტატისტიკოსისა და დემოგაფის კ. ჯინის „ვარიაციულობა და ცვალებადობა“ (1912 წ.). შემდგომი ნაშრომების უმეტესობა, რომელთა პიკს გასული საუკუნის 70-80-იანი წლები წარმოადგენს, მეცნიერები აუმჯობესებდნენ და ცვლიდნენ შემუშავებულ მიდგომებს (ა. ბ. ატკინსონი, ჯ. ლ. გასტვირტი, პ. დ. ალლისონ, ა. ფ. შორრევი, ჯ. ი. ფოსტერ, ბ. ი. მილანოვიჩი და სხვ.).


უთანაბრობის საზომი ტრადიციული საშუალებები

უთანაბრობის შეფასების გავრცელებულ ტრადიციულ საშუალებებს წარმოადგენს ლორენცის მრუდი, ჯიბის კოეფიციენტი, ტეოლის ინდექსი, ვარიაციის კოეფიციენტი.

ლორენცის გათანაბრების კონცეფციის შესაბამისად „ერთობლიობაში თითოეული ინდივიდისათვის შეიძლება არსებობდეს მოსახლეობის ერთობლიობაში მისი წილის და შემოსავლების საერთო ერთობლიობაში მისი შემოსავლების წილის თანასწორობა“ [1, გვ. 13]. მოცემული მოსაზრების შედეგად შემუშავებულ იქნა უთანაბრობის გრაფიკული გამოსახულება - ლორენცის მრუდი („მშვილდი“). შეფარდებითი პირდაპირი იდეალური უთანაბრობიდან რეალური შემოსავლების განაწილების მრუდის გადახრა სოციალურ და ტერიტორიულ უთანაბრობაზე მეტყველებს.

აბსოლუტური თანაბრობის ხაზიდან მრუდის გადახრა გვიჩვენებს მოსახლეობის ან რეგიონის რომელიმე ჯგუფის ხელში შემოსავლების კონცენტრაციას. ზღვრულია, მეცნიერთა მოსაზრებით [2,3], ასეთს ლორენცის „მშვილდის მოჭიმვა“ წარმოადგენს, როცა ლატაკთა წილი მოსახლეობის (უღარიბესი რაიონების) 40%-ზე მოდის ქვეყნის საერთო შემოსავლების 12-13%, ხოლო უზრუნველყოფილი მოსახლეობის 10%-ზე მეტი და 10%-ზე ნაკლები შემოსავლების დონეში განსხვავება იწყებს 10-ჯერ გაზრდას. მოცემული სიტუაცია ითვლება

სოციალური სტაბილურობის ზღვრად. ჩვენი მოსაზრებით, მოცემული პრინციპი, იქნება არსებითი და რეკრეაციული რაიონების ტერიტორიულ უთანაბრობას მიუთითებს.



ნახ. 1. ლორენცის მრუდი

შემოსავლების რეგიონული დიფერენციაციისას გრაფიკული მეთოდის დამატებას წარმოადგენს ლორენცის კოეფიციენტი [2].

$$K = \frac{(|Y_1 - X_1| + |Y_2 - X_2| + |Y_3 - X_3|)}{2}$$

სადაც Y_i – ჯამურ შემოსავლებში ქვეყნის i რეგიონის მოსახლეობის წილი; X_i – მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში i რეგიონის მოსახლეობის წილი; n – რეგიონების რიცხვი.

ლორენცის კოეფიციენტის ექსპერიმენტული მნიშვნელობა $K=0$ – შემოსავლების (ჰიპოტეტური შემთხვევები) გადანაწილება სრული ტოლობის შემთხვევაში, და $K=1$ – სრული უთანაბრობის დროს.

მოცემული მახასიათებლების მქონე რეგიონის განაწილებაში შეფარდებითი უთანაბრობის შეფასებაში გვეხმარება ჯინის კოეფიციენტი - სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც რაიმე ნიშნის (ხშირად, შემოსავლების დონე) მიხედვით საზოგადოების ანდა რეგიონის დაყოფის დონეს გვიჩვენებს, აბსოლუტურად თანაბარი განაწილებიდან გადახრის ხარისხის სახით. კოეფიციენტის მნიშვნელობა ლორენცის მრუდის აგების შემდეგ განისაზღვრება. იგი იცვლება 0-დან 1-მდე და რაც მეტია მისი მნიშვნელობა, მით მაღალია უთანაბრობის ხარისხი.

აღწერილი მეთოდი, კერძოდ, ლორენცის მრუდის აგება, როგორც წესი წარმოადგენს შემოსავლების მიხედვით ტერიტორიული უთანაბრობის შესწავლისას უფრო პოპულარულ ტექნიკას. მისი უპირატესობა მისი სიმარტივე, თვალსაჩინოება, გრაფიკის აგებისას სირთულის

არ არსებობა, ასევე მისი შეფასებისათვის გამოყენების შესაძლებლობაა. ჯინის კოეფიციენტი საშუალებას იძლევა შევადაროთ ერთობლიობაში ნიშნის განაწილება ერთეულის სხვადასხვა რიცხოვნობასთან (რეგიონი მოსახლეობის სხვადასხვა რიცხოვნობასთან), სხვადასხვა ერთობლიობებს (ქვეყნები, რეგიონები) შორის ნიშნის განაწილება, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების (ქალაქია, სოფლის) მიხედვით ნიშნის განაწილება. გარდა ამისა, იგი იძლევა შესაძლებლობას დავაკვირდეთ უთანაბრობის დინამიკას, და არაა დამოკიდებული განხილული ტერიტორიული ერთეულის მასშტაბზე.

მეთოდის ნაკლოვან მხარეს წარმოადგენს ის, რომ შეუძლებელია საიმედო შემოსავლებისა და შემოსავლების წყაროების და უთანაბრობის გამომწვევი ფაქტორების აღრიცხვა. მიუხედავად ამისა, მეთოდის ღირებულება არ მცირდება და მათი შევსება დამატებითი ანალიზითაა შესაძლებელი. საზღვარგარეთის რეგიონალურ კვლევებში ფართოდ გამოიყენება რეგიონის ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის დონის მაჩვენებელი - ე.წ. ტეილის (უთანაბრობის ენთროპიული ინდექსი) ინდექსი, რომელიც შემდეგი სახის ფორმულით განისაზღვრება [6]:

$$IT = \sum_{i=1}^i \frac{Y_i}{Y} \ln \frac{Y_i/P_i}{Y/P}$$

სადაც, Y_i – არის რეგიონის მთლიანი დამატებული ღირებულება (შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნას მთლიანი შიდა ან ეროვნული პროდუქტი ან მთლიანი რეგიონული პროდუქტი); Y – ქვეყნის მთლიანი დამატებული ღირებულების მოცულობა; P_i – i -ური რეგიონის მოსახლეობა; P – ქვეყნის მოსახლეობა.

ტეილის ინდექსი ნულის ტოლია სრული რეგიონთაშორისი თანაბრობის შემთხვევაში და იზრდება ასიმეტრიის ხარისხის გაზრდის დროს. ამ ინდექსის უპირატესობა ტერიტორიული უთანაბრობის გაზომვისას იმაში მდგომარეობს, რომ არაა დამოკიდებული შემოსავლების მასშტაბსა და მოსახლეობის რიცხოვნობაზე.

გარდა ამისა, ი. სტორნიანსკაია გვთავაზობს ინდექსის დაყოფას - „დეკომპოზიციას“ ორ შემადგენელ ნაწილად, რომელიც ასახავს მაკრორეგიონალთშორის და შიდა მაკრორეგიონულ ასიმეტრიას [4, გვ. 105]. დიფერენციაციის რეგიონალთშორისი ანალიზისას, მნიშვნელოვან მაჩვენებლებს წარმოადგენს ვარიაციის დიაპაზონი და ვარიაციის კოეფიციენტი. მეთოდი საშუალებას იძლევა რაოდენობრივად ავსახოთ რეგიონებს შორის სხვადასხვა ერთობლიობები, ანალიტიკური მაჩვენებლის ზომის ერთეულის, ასევე შესასწავლი ნიშნის ერთგაროვნებისა თუ არაერთგაროვნების მიუხედავად. ვარიაციის კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით [5]:

$$V = \frac{\sigma}{\bar{X}} 100$$

რაც უფრო მცირეა ვარიაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა, შესასწავლი ნიშნის მიხედვით, მით მეტად ერთგვაროვნია ერთობლიობა. კოეფიციენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ერთობლიობის ვარიაციის შესადარებლად და საშუალო მაჩვენებლის კოე-

ფიციენტის გაანგარისებისას. ვარიაციის დიაპაზონი კი ასახავს უთანაბრობის სიღრმეს და გვიჩვენებს ერთობლიობის ექსტრემალურ მნიშვნელობათა შორის განსხვავების ხარისხს. მეთოდი საშუალებას იძლევა მივიღოთ სრული დახასიათება თითოეული მაჩვენებლისათვის რანგის მინიჭების გზით და შემდგომში მოვახდინოთ მათი შეჯამება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. ამასთან, მახასიათებლის ერთნაირი რანგის არსებობისას ტერიტორიის შიგნით შესაძლებელია მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

უთანაბრობის ადიტიური საშუალებების ფართო კლასის განზოგადებისას ენტონი შოროქსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თანაბრობის მდგომარეობიდან გადახრის სიდიდე დამოკიდებულია ცალკეული მეთოდიკის შემთხვევაში მიღებულ „ათვლის წერტილზე“, ხშირად, ეს არის განაწილების პარამეტრებიდან ერთერთი (ნორმა, საშუალო სიდიდე) [7]. ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობის შემთხვევაში მოცემული ვითარება შეიძლება შემდეგნაირად ავსახოთ: თითოეულ რეკრეაციულ რეგიონს, თუ ათვლის წერტილად არსებულ შემოსავლებს (საქმიანობის ეფექტურობას) მივიღებთ, თავისი წვლილი შეაქვს უთანაბრობის ხარისხის მნიშვნელობაში. აქედან გამომდინარე, რაც უფრო დაშორებულია რეგიონი ათვლის წერტილიდან, მით მაღალია უთანაბრობა, ამიტომ აუცილებელია ასეთი რეგიონების გამოვლენა.

უთანაბრობის გაზომვის ტრადიციული საშუალებების მრავალფეროვნებას ერთმანეთთან თანხვედრის აღრიცხვის აუცილებელობამდე მივყავართ. რუსმა მკვლევარებმა ა. შევიაკოვმა და ა. კირუტამ ჩაატარეს მოდელირებული კვლევა უთანაბრობის მაჩვენებლების განსხვავების შეფასებისათვის. ამისათვის ერთმანეთს შეადარეს შემდეგი მაჩვენებლები:

1. დეცილური კოეფიციენტი – F,
2. ჯინის სტანდარტული კოეფიციენტი – G,
3. ატკინსონის ინდექსი – A(-1), A(0), A(0,5),
4. ტეილის ენთროპიული ინდექსი – T,
5. შემოსავლების ვარიაციის კოეფიციენტი – V,
6. შემოსავლების ლოგარითმის სტანდარტული გადახრა - $\sigma(\log(x))$.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ უთანაბრობას თანმიმდევრულად აფასებენ ზემოთჩამოთვლილი 1, 3, 6, ასევე 2,4 და 5 მაჩვენებლები. მოცემული კვლევის შედეგებიდან შეუძლებელია უთანაბრობის საზომი რომელიმე ინდექსისადმი პრიორიტეტის მინიჭება, რადგან თითოეული მათგანი თავისთავად საინტერესოა გაზომვის გაფართოებული სისტემის ფარგლებში რომელშიც ცხოვრების დონე, უთანაბრობა, სიღარიბე, ნირმალური და ჭარბი უთანაბრობა, შეფასებულია თანმიმდევრულად და ერთობლიობაში [6, გვ. 6]. კვლევის შედეგებში განსხვავებები ასახავს განაწილების სხვადასხვა ნაწილებში უთანაბრობის შეფასებისადმი „მგრძნობელობის“ ხარისხს. ამიტომ შერჩევა დამოკიდებული თითოეული მაჩვენებლის სოციალ-ეკონომიკურ შინაარსიდან უნდა გამომდინარეობდეს.

1988 წელს ე. შორროკსმა შემოსავლების მიხედვით უთანაბრობის საზომი მაჩვენებლებისადმი შემდეგი მოთხოვნები წამოაყენა [6, გვ.18]:

- შემოსავლების ვექტორის კომპონენტის გადაადგილებისადმი სიმეტრია ან ინვარიანტულობა;
- პიგუ-დალტობის „ტრანფერების პრინციპი“;
- მონაცემების განმეორებისადმი ინვარიანტულობა;
- შემოსავლების ზომის ერთეულისადმი ინვარიანტულობა.

მისი მოსაზრებით უფრო მეტად არსებითია უთანაბრობის ტრანსფერების პრინციპის (უფრო მდიდრებიდან უფრო ღარიბებისადმი საშუალებების გადანაწილება) ზომის შესაბამისობა. ჩამოთვლილი მაჩვენებლებიდან ყველა მოთხოვნას უთანაბრობის ტეილის ინდექსი აკმაყოფილებს.

დასკვნა

ტერიტორიული უთანაბრობის ზემოთგანხილული მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას პრობლემის რეკრეაციული ასპექტის შესასწავლად. აღნიშნული უთანაბრობის მიმართულების სპეციფიკა მოითხოვს მითითებულ ტექნოლოგიაში მოდიფიკაციის შემოტანას. ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობის გამოვლენა მოითხოვს მეთოდიკის მოდიფიკაციას, მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებლის შენაცვლებას რეკრეაციიდან მიღებული შემოსავლების ან მოსახლეობის რეგიონის ტურისტების რაოდენობის მაჩვენებლებით. ეს კი საშუალებას იძლევა არა მარტო რეკრეაციულ რაიონებს შორის შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობა იქნას გამოვლენილი, არამედ გვიჩვენებს განსხვავებას რეგიონების მოსახლეობის მოთხოვნების რეალიზების შესაძლებლობებში. მაჩვენებლები სოციალური სტაბილურობის ფარგლებში ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობის ნორმატივების დადგენის საფუძვლად შეიძლება გამოვიყენოთ.

ვარიაციული მაჩვენებლების გაანგარიშება საშუალებას იძლევა შევაფასოთ რეკრეაციული რაიონების ერთგაროვნება ან არაერთგვაროვნება, ავსახოთ უთანაბრობის სიღრმე, რაიმე ნიშნის მიხედვით გამოვყოთ უფრო განვითარებული რეგიონი. ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ა. შებიაკოვისა და ა. კირუტის კვლევების თანახმად, ჯინის კოეფიციენტი, ტეილის ინდექსი და ვარიაციის კოეფიციენტი თანმიმდევრულად აფასებს უთანაბრობას და იმავდროულად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ტერიტორიულ-რეკრეაციული უთანაბრობის დიაგნოსტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Роль мобильности по доходам в изменении неравенства в распределении доходов Т. Ю. Богомолова, В.С. Тапилина, П.С. Ростовцев: учебно-методическое пособие издано в рамках Программы поддержки кафедр Мегaproекта "Развитие образования в России" Института Открытое Общество (Фонд Сороса) (грант № НВС 806). – Новосибирский государственный университет, 2001. – 73 с.
2. Холина В.Н. География человеческой деятельности: экономика, культура, политика: Учебник для 10-11 классов школ с углубленным изучением гуманитарных предметов / В.Н. Холина. – М.: Просвещение, 1995. – 320с.
3. Романова В.А., Галух Г.А., Сахнова Н.С., Зайцева С.В. Особенности территориальной дифференциации уровня жизни населения Крыма // Культура народов Причерноморья, 1997. – №2. – С.73-75
4. Milanovic, B. 'A simple way to calculate the Gini coefficient, and some implications'// Economic Letters. – 1997. – 56. – P. 45-49.
5. Кузнецов М.В. Статистика и статистический метод в туризме / М.В. Кузнецов. – С.: НАТА, 2007. – 144 с.
6. Shorrocks A. Income Inequality and Income Mobility / A. Shorrocks // Journal of Economic Theory. 1978. – Vol. 19. № 2. P. 376 – 393.
7. Роль мобильности по доходам в изменении неравенства в распределении доходов Т.Ю. Богомолова, В.С. Тапилина, П.С. Ростовцев: учебно-методическое пособие издано в рамках Программы поддержки кафедр Мегaproекта "Развитие образования в России" Института Открытое Общество (Фонд Сороса) (грант № НВС 806). –Новосибирский государственный университет, 2001. – 73 с.
8. Шевяков А. Ю., Кирута А. Я. Измерение экономического неравенства и бедности (теория индексов) / А.Ю. Шевяков, А.Я. Кирута. – М.: Межведомственный центр социально-экономических измерений, 1999. – 50 с.